№1556 2015 წლის 17 ივლისი ქ. თბილისი

„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად პირის მიერ გასავლელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის სავალდებულო ეტაპის - ტესტირების ჩატარების დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის №1536 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად პირის მიერ გასავლელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის სავალდებულო ეტაპის - ტესტირების ჩატარების დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის №1536 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2016 წლის 1 ივლისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად პირის მიერ გასავლელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის

სავალდებულო ეტაპის - ტესტირების ჩასატარებლად მუნიციპალიტეტებმა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი მომსახურება შეისყიდონ არჩევანისამებრ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისაგან ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისაგან.“.

2. განკარგულება ძალაშია 2015 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**